

ნიკნაზი

— ვაჟს ჩვენს სოფელში ხარისხის
საქმე მოვაგვარეთ, ჩაის კლანტატიანში
ინდური პალმები ჩავრგეთ!




ნახ. მ. აბაშიძისა

პროზინციული ვარ ქვეყნით, თორემ მსგავს სურათს ისეთ ადგილებშიც შეხვდებით, ქალაქად რომ იწოდება, ზრდისა და წინსვლის გზაზე გასულად მიაჩნია თავი.

— ზომიერება ჭირსა და ლხინში! — აცხადებს ჩვენი ხალხი და იცავს კიდევ ამ მართლაც მამაპაპურ საუკეთესო წესს. ჩვენ ერთ-ერთმა პირველებმა უარყავით ხალხმრავალი ქორწილები და ქეღებები და ისინი თანდათან იღებს ნორმალურ, ლამაზ სახეს, მაგრამ ზოგიერთი მეტიჩარა აქაც გამოერევა: აქა-იქ ფხვს იკიდებს ახალი მოდა — მიცვალებულის არღნით გაცილება. ქართლისა და იმერეთის სოფლებისათვის ეს ახალი არ არის, დიდად მოწონებულია დაბალი დონის ჭირისუფლებში. ის კი არა, ასეთ სურათსაც შევესწარით: თუმცაინი გადაუგდო მე-მუსიკეებს შეზარსოშებულმა ახალგაზრდა კაცმა — სამხიარულ დაუკარითო! — გაშალა მკლავები და კუბოს როკით შემოუარა!.. ჭირისუფლებმა არათუ დაუშალეს, პირიქით — დიდ დღესებდად ჩაუთვალეს, მადლობაც უთხრეს!..

ჰოდა, არღანზე მოგახსენებდით. ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო! — ფიქრობენ გურულები, არიქა, არ ჩამოვრჩეთ სხვებსო!..



...მეზობელ სოფელში გარდაიცვალა ერთი ადამიანი მუშაკი, არღანზე რომ თავის დღეში არ უმეკვია, ისეთი დედა, დები, ცოლი, ქალიშვილები, მეზობლები და ნათესავები — ყველანი გულით დასტიროდნენ!.. ერთგრაფიული თვალსაზრისით ნამდვილად ჩასაწყურად ღირდა მათი ნატორალები — გულწრფელი, ნამდვილი სევდა-მწუხარების გამომხატველი!..

არღნის ხმა რომ გაისმა, — უთუოდ სიძვე მოდისო, — თქვეს ალტაცებით და ამის შემდეგ მოტირალთა ნათქვამი არავის გაუგონია!.. ისმობდა გამაყრუებელი კინტორი მუსიკა!.. ვერ მოითმინა გვერდით მდგომმა მანდილოსანმა: — გააჩერეთ, აცალეთ ამ პატროსან ხალხს ტირილიო!.. — ქელო, გამოდანი აქეთ, არ გააღებინო ვინმეს თავი, ამ არღანში სახლის ფასი აქვს მაგ კაცს გადახდილი და აქ საყურებლად კი არ მოუტანიო — უთხრა მეუღლემ!..

სიკვიდელს რომ გოგოა უხდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება!

გულწრფელი მოთქმა-ტირილი მართლაც რომ შეგნის ასეთ სევდიან შემთხვევას!.. მაგრამ, აქაოდა, ძუნწები არვის ვეგონოთ, ჩვენი მიცვალებულისათვის არაფერი გვშურსო, ამის დასტურად ჭირისუფალს, ზოგჯერ ერთმანეთის წაშხედრობით, დაქირავებული რებულ ოჯახს არც კი ეკითხებიან მეტიჩარა მეზობლები. მოაბრძანებენ ტუჩებზელებილ მანდილოსანს თავისი ამაღლით, შეუძლებიან „მათთვის განკუთვნილ“ ცალკე ოთახში, გა-

რეთ გამოკიდებენ ხმის გამძლიერებელს და მოწვეულ სტუმართა „გულის ასაჩუყებლად“ ისმის დაახლოებით ამგვარი „ლექსები“:

„ლილიო, შვილო, გეხვეურები, არ დამივიწყო, მე ნაწყალი, ბოუშებს კარგად მოუარე, ბებო აღარ ჰყავთ ცოცხალი! მეზობლებო, მომიგონეთ, რომ აიღებთ ჭიქას ხელში, მე ყველასთვის კარგი მსურდა, ახლა მივალ ცივ სამარეშიო!..“

ან: „ჩემს ძმას ლევანტის უთხარით, არ გაცივდეს ამ ზამთარში, თბილი წინდები ჩაიცვას, როგორც კი გამოვა კარში!“

მსგავსი ვარიანტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!..

მოგვიტეოს მკითხველმა, მაგრამ ამას რომ ისმენს, გულის აჩუყების ნაცვლად, ზოგს ეღიმიება, ზოგს კი სიციხვილი აწუხებს!..

გამოჩენილ ადამიანებს ინტერვიუში ხანდახან ეკითხებიან: რატომ აირჩიეთ ეს პროფესიაო, ან — სიცოცხლეს რომ თავიდან იწყებდეთ, რას აირჩევდითო?

იმ ქალბატონს, გუნდის მთავარ მოზარეს (სხვისი ჭირი ღობის ჩხირად რომ მიაჩნია) რომ ჰკითხოთ, რატომ აირჩიეთ ეს პროფესიაო, ალბათ დაუფიქრებლად გიპასუხებთ: ამაში ბევრი ფული ყრიო! მისი ფსიქოლოგია გასაგებია, მაგრამ ჩვენი მშრომელების ერთი ნაწილის საქციელი გვაკვირვებს: — რატომ ვაძლევთ უფლებას ვიღაც უწიგნურ ფულიწვეტიებს, რომ ჯიბეც გავვიცარიელონ და ჩვენს მწუხარებას დასცილონ, ჩვენი სმენა და გემოვნება შეურაცხყონ!

როგორ ვისდით ქორწილს? ახალგაზრდობისათვის ერთ-ერთ ყველაზე სამასსოვრო, ბედნიერ დღეს? უმრავლეს შემთხვევაში — მართლაც ზომიერების ფარგლებში, კარგად, ლამაზად, მართლაც მამაპაპურად! თუმც, ზოგჯერ...

ქორწილს რომ ცეკვა-თამაში და სიმღერა შეგნის, ამას რა მტკიცება უნდა! უამისოდ ხომ იგი უზომო ჭამა-სმად და უაზრო დროსტარებად გადაიქცევა. ცეკვა-თამაშს რომ აკომპანემენტი უნდა, ამაზეც არავინ დავობს, მაგრამ...

ამას წინათ ქორწილში გახლდით იმერეთის ერთ-ერთ რაიონში. გამოეფინენ სიძე-პატარძლის შესახვედრად, მაგრამ ამოად!.. სიძე მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ მობრძანდა თავისი მაცრიონით. ესენი კი ე. წ. „დამკვრელები“ იყვნენ. დიდხანს მოუნდნენ თავიანთი ინსტრუმენტების „დამონტაჟებას“. ელქსელი მზად იყო, ისმოდა სასიინჯი „ბრის“ და ამგვარები, გაჩაღდა ქორწილი!.. გაისმა ყურისწამლები ჟღარუნი. დაქირავებული მომღერლები, — რას ვერჩით, — თავს არ ზოგადნენ საზოგადოების გასართობად, საჩოთირო ის არის, რომ არავის აზრად არ მოსვლია წინასწარ შეემოწმებინა მათი „რეპერტუარი“.

მივუბრუნდეთ ჩვენს მომღერლებს. განსაკუთრებით ერთი მღეროდა თავგამოდე-

ბით. იმღერა ოდესაზე, ვიღაც ტერეზაზე, უცხო ენაზე, რომლის შინაარსი, ვეჭვობ, მანაც სცოდნოდა! ქართულიც გამოურია. განსაკუთრებით გამოცოცხლდა საზოგადოება, როცა წინასწარ გამოაცხადა: — მეგობრობაზე ვიმღერებ და კარგად მომისმინეთ, გთხოვთ ძალიან! სიმღერის ტექსტი ზეპირად ვერ დავისსოვებ, მის „იდეურ ღირსებებს“ კი შინაარსი გვამცნობს. დაახლოებით ამგვარი აზრი გამოვიტანე:

— სანამ ფული მქონდა, ყველას ვუყვარდი, როცა ფული გამომეღია, ცოლმაც უარი მითხრა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებაზე! — ეს აზრი საკმაოდ ვულგარულად გამონატა. მისამღერს კი რა დამავიწყებს, წამდაუწყებ იმეორებდა: ჩინჩალაზე, შენ მოიკვდა „დაჩაო“, სულ შეგჭამე, რაც მამაშენს დარჩაო!“

ამას ისეთი ექსტაზით გაჰკოდა, ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ნიჭისა და უნარისა...

რუსთაველის ქვეყანაში თუ ფული გაქვს, მეგობარც მაშინ გყავს და ბედნიერიც მაშინ ხარ! — ამ „სიბრძნის“ ქადაგებაში ვუხდით ფულს და მერე რამდენს?!

ე. წ. „დამკვრელების“ რეპერტუარში მუდმივად და მკვიდრებული სიმღერა სამტრედიისაზე: „მაშ, დავლიოთ სადღეგრძელო მტრების ჯინაზე, ჩვენს პატარა, კონტა ქალაქ სამტრედიისაზე“. ან: „შესტაფონო, შესტაფონო, მომენტარები, პრალიტკაში თუ ჩავვარდი, კვლავ ავდგები!“ დიდი ხანია მოდამია სიმღერა მაგადანზე. ზოგჯერ მას ასრულებენ რომელიმე „საპატიო“ წვეულის დაკვეთით. თამამად, ყველას გასაგონად გაჰყვირის „ხელოვანი“: „გალიაში ბულბულები ზიან“. ან: „შავი ზღვის პირას კოშკი ავაგე, შეყვარებული ზარში წავაგე!“ ან: „საფინანსო ღვინოს დაველე და, თუთრი ხიდიდან გადავვარდები!..“

როცა მოზარდს ამგვარ „მარგალიტებს“ ვასმენინებთ, ჩვენდა უნებურად ზიანს ვაყენებთ ახალგაზრდობის ზნეობრივ-ეთიკური აღზრდის საქმეს, რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალო სპეციალისტის ერთი წლის ხელფასზე..

ნიკო ოსაყანიშვილი-პარკინიშვილი (ჩოხატაურის რაიონი)



წიგნს სკეტი

ნახ. ვ. პესკოვისა
ჟურნალი „პროკოდლი“ № 6, 1988 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპატარი

შავიც არი, თეთრიც არი,
აქაც არი, იქაც არი,
იქ ჩხიკვია, აქ — ციცარი,
აქ ფქვილია, იქ — ნაცარი,
კაცობანას თამაშობს და
კაცებში ზის ნაკაცარი!



X X X

კარგმა ჩაიმ ჩაილურის
წყალი დალია, —
რომელ ჩაისაც გახინჯავ,
ყველა მყარლია!
ერთი ეს გამაგებინა,
ვისი ბრალია?

პოეზიის ფრონტზე

ყველა ლექსსა წერს, კაცია
თუ ქალი არი თმინი.
განსაკუთრებით აუვადლა
ვერდიბრი არ-რითმინი,
ამიტომ მკითხველებშიაც
მომრავლდნენ არათმინი.



ვისაც „გული აწუნებს“!

ლიტრიან ყანწებს რომ ცლიდი,
ბაიყუშის ბაიყუშო,
ახლა ვალიდოლით გინდა,
ტკივილები გაიყურო?!

აბანოში

— ზეწარი მომიტანეთ!
— პრასტინები არა გვაქ!
— როგორ თუ არა გაქვთ?! მამ ბილეთი
რად გაყიდეთ?
— იყო და გათვალა!
— მაშინ ეს კარადა ისევ დაკეტე და
ყური უგდე, აქ არაფერი დამიკარგო! მე
გვალ, მზეზე გავშრები!
— გაბოჯან, მიდი „პარნიში“, ერთი პრა-
სტინა გამაართვი, ჭიგარი კლიენტისთვის
გვინდა-თქო!

თვითონ მ

გულმა მითხრა: „ლეკოტ წიქავ,
ხევსურების მოპიკანო,
არაყს ნუ სვამ, ჭკუით იყავ,
თორემ ჭკვაზე მოგიყვანო!“



მ

უსიტყვოდ

ნახ. ჯ. ლოლუასი



— შენ ისა თქვი, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში თუ მოვხვდით, უხაქმურო-
ბით ამოგვხვდება ხული.. აქ თათბირებზე მაინც დავლივართ!

ჩემი ქვეყნის

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

— კაცი უმაღლესი განათლებითა ხარ, ეკონომისტი. აგერ ქალაქში, ჭიათურაში, გოგებაშვილის ქუჩის №1 სახლში მშვენიერი ბინა გვაქვს, რა გინდა, რა დაგრჩენია სოფელ ვაჭევში? თუმცა კი ვიცი, რა ცეცხლი შემოგენტო. აქაოდა, ჭიათურის რაიკოოპერატივის სოფელ ვაჭევის მაღაზიის გამყიდველად მოეწვევი, გგონია, გაკეთდები! ხალხის ხმას მაინც აღარ უგდებ, კაცო, ყურს? რას იტყვის ხალხი: უმაღლესი განათლების მქონე კაცი მაღაზიის გამყიდველად წავიდაო! ჩვენს ქალაქში, ჭიათურაში, სანთლით ეძებენ ეკონომისტებს. შენ კი... ეჰ, რა უნდა გითხრა ამის შემდეგ? ბავშვებს პატრონობა არ უნდათ? — ცრემლნარევი ხმით ეუბნებოდა მეუღლე ტრისტან შალვაშვილს

— ჰოდა, პატრონობა რომ გინდათ და თქვენზე რომ ვფიქრობ, სწორედ ამიტომ მივდივარ იმ მივარდნილ სოფელში მაღაზიის გამყიდველად. კარგი ახლა, ნუ წუწუნებ! სულ მალე ქონებით ავივსებით!..

„ქონების შოვნის“ მაძიებელი ტრისტან შალვაშვილი, მართლაც, „მარიფათიანი და შებერტყილი“ (ასე შეარქვეს ვაჭველებმა თავიანთი სოფლის მაღაზიის ახალ გამყიდველს) გამოდგა. მან მაღაზია საკუთარ დუქანად აქცია. საქონელსაც თავისებური ფასები დაადო. ისე გაიწავა მომხმარებელთა ზომიერებაში მოტყუებასა და ხურადის დაუბრუნებლობაში, რომ მეფის დროინდელი სოფლის ჩარჩი გეგონებოდათ. რამდენიმე თვეში, 1986 წლის 16 ოქტომბრიდან 1987 წლის 4 მაისამდე, მაღაზიიდან დაიტაცა 5985 მანეთის სახელმწიფო ქონება, სულ კი 8415 მანეთის დანაკლისი გამოუვლინდა. ეს კი ასე მოხდა.

ერთ დღეს ტრისტან შალვაშვილს მაღაზიაში ეწვია საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმარგანეცის“ მუშათა მომარაგების განყოფილების მაღაზიის გამყიდველი ელენე ჩაფიჩიძე — ტრისტან, მიჭირს, უნდა მიშველო! 2440 მანეთის ღირებულების საქონელი დამაკლდა!.. ანალოგიური საქონელი შენ გაქვს. შენი

მაღაზიიდან უნდა „მასესხო“ და რევიზიის შემდეგ დაგიბრუნებ!

— ანდაზა „გაჭირვებამ მტრის კარს მიმიყვანაო“ ყოველთვის კი არაა სწორი. მეზობელსა და კოლეგას თუ ხელი არ გაუფართე, აბა, რა კაცი ვარ! ხვალ შეიძლება მე აღმოვჩნდე შენაირ მდგომარეობაში!..

— და „თადარიგაინმა“ ტრისტანმა 2240 მანეთის საქონელი „ასესხა“ ელენე ჩაფიჩიძეს.

ის იყო, ელენე ჩაფიჩიძემ ტრისტანის მაღაზიიდან „ნასესხები“ საქონლით ავტომანქანა დატვირთა და თავის გზას გაუდგა, რომ ტრისტანს მაღაზიაში თვალტრემლიანი სიდედრი ნაზიკო კუპატაძე ეწვია.

— დავიღუბეთ, შვილო ტრისტან! (მეტი შთაბეჭდილებისათვის სიდედრმა ლოყებზე ჩამოისვა ხელი, აქაოდა ლოყების დაკაწვრაა საჭირო, მაგრამ აქ, მაღაზიაში არ შეიძლე-



ბაო). დედა გარდამეცვალა. რა მეშველება მე უბედურს? მართალია, ღრმა მოხუცებული იყო, მარა, ხომ იცი, წესი წესია! მიცვალებულს გაპატიოსნება სჭირდება. ქელებია საჭირო! — ნაზიკო კუპატაძემ მაღაზიის მუშტრებს გადახედა, თვალბეზე ცრემლმომდგარი ტრისტანი (უყვარდა ცოლის ხათრით ტრისტანს

ცოლის ბებია) თითოთ მოიხმო და ყურში ჩასჩურჩულა: — მაგიც არ იყო, ქელებზე გადასახურსკვი შესწორი თანხაც საკმარის შემოგნ. ქელების ხარჯებსაც გავისტუმრებ და პატარა გასაიმასქნებელი ფულიც დამრჩება!..

— ახლავე, ჩემო სიდედრო! აბა, რისი მაქნისია ეს მაღაზია?! ქელები სათვის საჭირო საქონელი, პროდუქტები აგერ არა მაქვს!?


დატრიალდა ყოვლისშემძლე ტრისტანი. დახლიდან დარჩენილი თანხა — 140 მანეთი ამოიღო და სიდედრს ჯიბეში ჩაუდო. 920 მანეთის პროდუქტები და სხვა საჭირო საქონელი კოხტად გაუხვია, ყუთში ჩაუწყყო და მანქანით გაისტუმრა.

„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, — სწორედ ასე დაემართა ტრისტანის სიდედრს. დედის დასაფლავებაზე ქელებიც გადაიხადა, მაგრამ ქალბატონი ნაზიკო ქელების შემდეგ ერთობ დამწუხრებულად გამოიყურებოდა. არა, დედის გარდაცვალებას, რა თქმა უნდა, განიცდიდა, მაგრამ ნაზიკოს დაღრეჯილობის ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ დიდთოვლობის გამო ქელებში ათიოდე კაცი მოვიდა და „გასაიმასქნებელი“ თანხა კი არა, ქელების ხარჯებიც ვერ დაიფარა...
ნათქვამია, „ცხენს მისივე ფეხები იპარავსო“, — სწორედ ასე დაემართა ტრისტან შალვაშვილს. მის მაღაზიას რევიზია ეწვია და საერთო დანაკლისმა 8415 მანეთი შეადგინა. ისიც გაიკვია, რომ სულგრძელი ტრისტანი ნაცნობ-მეგობრებს — ზაურ ჩინელიძეს, არჩილ კაპანაძეს, თემურ ყიფშიძეს, რომან ფცქიალაძეს, ნუგზარ ცერცვაძეს ნისიად ატანდა მაღაზიიდან საქონელს, ეს უკანასკნელნი კი ვალის დაბრუნებაზე არც ფიქრობდნენ; ნისიად გაცემული საქონლის ღირებულებამ 1950 მანეთი შეადგინა.

ზის ახლა ტრისტან შალვაშვილი „ფიქრთ გასართველად“ შრომით-გამასწორებელ კოლონიაში და ხშირად იმეორებს ცნობილ ქართულ ანდაზას: „დახლიდან რომ ნემსი აიღო, მახათი უნდა ჩადო შიგ“.

ზალ მისენგინარი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ნახ. ი. ყინაუზვილისა



მ

ბიუროკრატის ძილისპირული

მესმის ფენის ხმა, თქვენ მოდინართ:
ორი გოგო და სამი ბიჭი.
თუჯის ჭიშკარმა ხმა არ გაგცათ,
მძიმედ ვააღუთ.
მე, ამ ქვეყანას შემომცქირალი,
გულაღმა ჩავბრუნდი.
რა ექნა, არ მინდა თქვენი დანახვა!
ათასჯერ უფრო მაშინ მეზიზღებით,
შამპანურის ბოთლის ხმა
ჩემამდის რომ მოაღწევს!
შესანდობარ სიტყვას ნუ გამაგონებთ,
ვე გამოდის სცენა-თამაში,
ცუდად დადგმული სპექტაკლი,
ვე არის სინამდვილე, რომ
მე მეორე მოქმედებაში ნამდვილად
მკვდარი ვარ!..
თქვენი მოტანილი ყვავილები
ჩემსავით უნდა დაჭკნეს.
მიწამ მშვა და მიწად ვიქცევი.
ვე ყვავილები ნაადრევად
მოწყვეტილი ჩანდა,
როგორც ჩემი სიცოცხლე.



ვინმემ რომ გაბედოს და გითხრათ:
თქვენ მეგობრის მკვლეული ხართო,
გაგიყვებით, თოფს ესვრით,
რადგან თქვენი ხელეუბნი სუფთაა,

სისხლის ლაქა არ აცნია,
მხოლოდ თქვენი გულის კუნჭულში
დამალულა ჩემი ვეება შავი სურათი,
ის მოგარბენინებთ თქვენ ზოგჯერ აქეთ!
თავს იმშვიდებთ,
უძლებთ ტკივილს, რომელსაც
ცხოვრებამ შეგაჩეიათ,
ჭკუა კი ვერ გასწავლათ!
თითქოს ჭიქები საკმარისი არ იყო,
ბოლოს ყანწი მომაყუდეთ.
მერე თვით ღვინო ბოთლში
მთხოვდა ჩაძვრომას.
მხოლოდ ერთხელ, ერთი წამით
გამოფხნიზლდი და გამახსენდა:
საჭესთან უნდა დავჯდე!
წამოვდექი. გაპარვა მოვინდომე,
თქვენი გამკილაევი ხმა დამედევან!

კატაური კატაულაძე



— რას შევლის ეგ წამალი?
— რა ვიცი, რას შევლის, „ფირმენი“ კია და!..

ცრუ რევიზორ - გამცილებლები

ფალბოონი

თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების №5 სა-
რემონტო კანტორის თანამშრომელს ჯემალ ქვენიშვილსა და საგარე-
ჯოს რაიონის გარეჯის მეურნეობის კომპლექსის მუშას ვალერიან
შაქარაშვილს შაქარივით დაუტკბათ ენა, როცა სოფელ მანავში
მცხოვრებ გიორგი ბიბილაძის ოთახში ყანწები დაცაფლეს, ერთმანეთს
ქართული ვაჟკაცობა და მამულიშვილობა უდღეურძელეს და ფეხის
ბორძიკით მიაღწიეს რკინიგზის უახლოეს სადგურამდე. მართალია,
ჯემალ ქვენიშვილი სიმთვრალისაგან აცაბაცად იმზირებოდა, მაგ-
რამ მაინც შენიშნა, რომ რკინიგზის სალაროში არავინ იჯდა!..

— სალაროში მაგიდაზე ბილეთები ყოია, უჯრაში ფულიც იქნე-
ბა! — უთხრა ჯემალმა ვალერიანს და სალაროში გადაძვრა, მერე
ყველაფერი დეტალურად „შეამოწმა“, მაგრამ ფული ვერა და ვერ
იპოვა, სამაგიეროდ 156 ცალ ბილეთს დაავლო ხელი და უკანა ფან-
ჯრიდან ისევ გადმოძვრა.

— არა უშავს, ჩვენ ჩვენსას მაინც ავინაზღაურებთ! — შეაქეზა
მეგობარი ჯემალ ქვენიშვილმა.

მალე მატარებელი №6490 „თელავ-თბილისიც“ ჩამოდგა.

— მოქალაქე მგზავრებო, ვისაც ბილეთები არა გაქვთ, აქვე შეი-
ძინეთ, თორემ ისეთი უფური რევიზორია ამოსული მატარებელში,
რომ მარტო ჯარიმას არ გაკმარებთ! — გამოუცხადა მგზავრებს
ცრუგამცილებელმა ვალერიან შაქარაშვილმა და ბილეთების გაყიდვა
დაიწყო. არც ცრურევიზორს ჯემალ ქვენიშვილს შესცვლია ნირი,
ბახუსმა მასაც მისცა სითამამე და ნამდვილი რევიზორივით ჩამოუა-
რა მგზავრებს.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო რევიზორო! — გზა გაუთავისუფლა
ვაგონში ახალშემოსულ „რევიზორს“ „გამცილებელმა“.

— შენა, ყვენივით რომ გაჯგიმულხარ და ბარგი-ბარხანით მთელი
კუბე დაგიკავებია, ბილეთი მაიტა ჩქარა! — რისხვით მიადგა ცოლ-
ქმარ წულუკიძეებს ჯემალ ქვენიშვილი.

— ბილეთები სალაროში არ იყო და როგორღა ვიყიდდი? ჰოდა,
მომეცით ორი ბილეთი! — თხოვნით მიმართა მას უბილეთო წულუ-
კიძე.

— უბილეთოდ მგზავრობ და კიდევ ბევრს ყბედობ? აბა, დაყაჭე
ოთხი მანეთი! — უბრძანა „რევიზორმა“.

— ეს როგორ, კაცო?! ბილეთი 45 კაპიკი ღირს და ორ ბილეთში
ოთხ მანეთს მასდევინებ?! — გაიკვირვა მგზავრმა და ბურტყუნით
გადაიხნადა ოთხი მანეთი.

— შენ რა, ორ ბილეთში სამ მანეთს მაძლევ?! — ახლა მეორე
მგზავრს მიუბრუნდა ჯემალ ქვენიშვილი, — მეტი არა გაქვს? ჯანდა-
ბას შენი თავი, მაიტა ეგ სამი მანეთი!..

მერე ქვენიშვილი და შაქარაშვილი სხვა მგზავრებს მიადგნენ.
ისინიც „შეიცოდეს“ და სამი მანეთით „დააჯარიმეს“!.. ამასობაში
ვაგონში მილიციის მუშაკებიც შემოვიდნენ!..

სასამართლომ ორივეს — „რევიზორსაც“ და „გამცილებელსაც“ —
3 წლითა და ექვსი თვით დააკისრა შრომაში სავალდებულო ჩაბმა!

მ. ზაალიშვილი



ჩემი ინჯია * საცირცო-ინჯიუცო კოორიკა

ერთი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის

ვიცი: „პრიბისკა“ მას ეწოდება,
რაიც არ ყოფილა და ვაბრალდებთ!
ჩვენი საუკუნის შეცოდება
როგორ უნამუსოდ გავამრავლეთ! —
მელის ბუნვის ნაცვლად — თავის კუდი,
თუქის ნაბდის ნაცვლად — ახალუნია!..
შენ კი თავმჯდომარედ დავგვისკუბდი
ფუჭი ბრძანებების რაზარუნით!
გვასვევ კონიაკით გაფლენილ თავს!..
შენ რომ თავმჯდომარედ დავგვისკუბდი,
ეგვეც „პრიბისკა“ და შენთვისაც
უნდა გამოვნახოთ ნავვის ყუთი!



უნდაური საამქრო

გარედან ამაყად აკრულა
ისეთი წარწერის ფირნიში,
რომ ვერვინ მისხედეს მზაკერულად,
თუ როგორ მზადდება ფინიში!..
საამქრო, ქცეული ღარბაზად,
ღასშულა, არ უშვებს მუზის ქარს!..
აქ ჩიტებს ესერიან ზარბაზანს
და სპილო გამოჰყავთ ბუზისგან!..

გ ე ი ნ ა ს ა

ასე მისხნიდა
ის ბუნებას კარიერისტის:
„ეს ხალხი არის
ღიად საქმეს შენაჭიდები!
ასეთი კაცი
სასარგებლო არი ერისთვის!
ერს, მავალითად,
ერისკაცად შენ არ სჭირდები!“
თავს იმართლებდა

ჩემს წინაშე ის სხვა სიტყვებით!
ზოგის ცხოვრება
პეავს მუდმივად თავის მართლებას!
ღილი შეისხნა,
არაყს მისწვდა, ისხა სითხე პირს
და ბრძნული სასით
ჩააშტერდა თავის მათლაფას!



შემაანზე შემაანურზე

შემომწკრივა ათი ბოთლი
და შემაანურის საცობებში,
როგორც ტაფაზე ბატიბუტი,
ასკდნენ სმაურით, გაცოფებთ.
ამ საცობების ამოძრობა
მისთვის პირველი პობი არის.
ათივე თვითონ ამოწრუბა,
ღიბი გაუნდა მშობიარის.
გადაშენდაო კარგი მსმელი,
ამან რა უნდა დამმართოს მე?!
რაზე წუნდები, არ გისმენენ
მარტო მჭამელსა და მარტო მსმელს!



არავინ ახლავს შეინახედ
(ამ გავებითაც შიმპანზეა).
ფოტოსურათი შეინახეთ:
შიმპანზე ილხენს შიმპანურზე.
ერთხელ ამ კაცზე მიყვებოდნენ,
ჭაშნიკს სინჯავდა კასრისასო
და რიგზე როცა მიყვებოდა,
კასრებმა ღამის გასრისესო.
უთავბოლო სმა ექიმს მუდამ
მიანდა მისთვის დამლუპავად.
საცობებს აძრობს... მე კი მსურდა,
მენახა ბოთლის დამსუფავად.

X X X

მუზასთან რომ დამპობილდა,
ჰყავდა თავის მოდასენი,
შერჩეული ბაზრობიდან, —
და ლოკავდა მოდას ენით!
გაათხელა ამსტრონი და
გამოწუნა ჯო დასენი!..
თავს ირჩენდა მასსრობითა —
სჭირდა უნიჭოთა სენი!



წიგნის ქარდავი

მელო „ფეტი“ შინ, როგორც ფეტიში,
ჩანს წარიტაცა ურცხვად ვილცამ!..
მელო „ოთნთაეი“ (ან: „სასარება“)
ჩემებრ მოკვდავის გასახარებლად!..
წაილო ერთმა, აღარ აბრუნებს!..
შეუნდოს ღმერთმა თავგანბრუებს!
ეპ, თავო ჩემო, ნუ დიდგულდები! —
სინჯავენ თაროს გუფით ქურდები!..

ილუსტრაციები ჯემალ ღოღუასი

ათი ათას კაცზე ექიმთა რიცხვით თბილისი პირველ ადგილზე ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ქალაქისა და რესპუბლიკის მოსახლეობა ხშირად მიემგზავრება კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისათვის მოსკოვში, ლენინგრადში, ქვეყნის სხვა ცენტრებში.



— ქალბატონო, „სასწრაფო“ თქვენ გამოიძახეთ?

— კი, ბატონო, მაგრამ ავადმყოფი უკვე მოსკოვშია სამკურნალოდ!..

მართლაც, როდემდე შეიძლება ითმინონ ვარკეთილის მე-8 მიკრორაიონის მცხოვრებლებმა; აქ კი 50 ათასი კაცი ცხოვრობს, რომლებიც უკვე მესამე წელია ვერა და ვერ ეღიბნენ პოლიკლინიკის აშენებას.

გაზეთივივიდან



— ჩემს ახალგაზრდობაში რომ პოლიკლინიკის მშენებლობა დაიწყეთ, ჭერაც არ დაგიმთავრებიათ?

ლენინგრადელი ტურისტების ჯგუფმა სოჭიდან აკარუსით გადაწყვიტა მთელი საქართველოსა და, საერთოდ, ამიერ და იმიერკავკასიის დათვალიერება. ჯგუფს ოსური ენის მცოდნე ლენინგრადელი პროფესორი პროტასოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგერიოთ დნეპროპეტროვსკელ პროტასოვში, გოლკიპერების გარდა მასლაჩენკოც რომ სწყალობს ხოლმე შიგადაშიგ.

მოსდა ისე, რომ პროტასოვს თავიდანვე დაუძმაცავდა ავტობუსის მეორე მძღოლი დემურ ხარისჭირაშვილი, ერთობ ენაწყლიანი ყმაწყვილი: ბევრი რამ კი გცოდნიათ საქართველოსთან დაკავშირებით მაგრამ, აბა, თუ მეტყვით, სიტყვა „სოჭი“ რას ნიშნავს? არც დაფიქრებულა პროფესორი, ალბათ „სოჭი“ ერქვა ერთ დროს, მერე ცვლილება განიცადა, ნ ბევრა დაკარგა და „სოჩი“ დაგვრჩაო. „სოჩი“ ატამი ან მსხალი ვამიგონიაო, გაუცინა ხარისჭირაშვილმა. პროტასოვმაც გაიღიმასავით და მერე ღრმად ჩაფიქრდა. მეორე მძღოლმა კი სხვათა გასაგონადაც განმარტა: „სოჭი“ ხეს ჰქვია ჩვენებურად, უწინ საყარედ იყენებდნენ, ახლა, გაჭირვებით, იატაკადაც ხმარობენ, თუმცადა თქვენებურ „ლისტვენიცასთან“ ახლოსაც ვერ მივაო.

იგრძნო პროფესორის დანტერესება და ხარისჭირაშვილმა განაგრძო: ...პირველი მსოფლიო ომის დროს ხან შინაილოვოში ცხოვრობდა თურმე ბაბუაჩემის ოჯახი, ხან ბულაგორში, ხან კრასნოვოსკასა და ხანაც ბუდიონოვკაშიო. ახლა სულ დაიბნა პროფესორი. იმ გაგანია ომის დროს რუსეთის ქალაქებს რას ეტანებოდნენო?! ისევ გაუცინა ენაწყლიანმა ხარისჭირაშვილმა: ერთ დროს „შინაილოვოს“ ხაშურს ეძახდნენ, „ბულაგორს“ კიდეც — სარაგოულსო. ამის გამგონე პროტასოვმაც სცადა სიტყვის ბანზე აგდება — თქვენში ყველაზე დიდი სიცხე როდის იცისო? — ყოველ შემთხვევაში, შემოდგომაზე ყოველთვის გრილა, სიცხე არ მალაპარაკებსო! აქ უკვე სტუმარ-მასპინძლებმა გულიანად გადაიხარხარეს და რიკოთის სასაუბრეში ხინკალი მიირთვეს, ღიმონათიც დააყოფეს!..

ავტობუსი თბილისისაკენ დაიძრა. ვიდრე იტრიას გასცდებოდნენ, ჩუმთაღელეთთან პროფესორმა ტაში შემოჰკრა და მძღოლს მხარზე ხელი მოუთათუნა — მარჯვნივ გადაუხვიეთო! „ორდონიკიძეზე“ ეწერა უშველებელი ასოებით გზის მაჩვენებელ მოზრდილ ისარზე.

კაცმა რომ თქვას, პროფესორს სწორედ ორჯონიკიძეში მიუწევდა უფრო გული და არც გაემტყუნებოდა, რადგან იქ ბოლოს და ბოლოს ოსურად დალაპარაკების საშუალება მიეცემოდა.

რაიონის ცენტრში „იკარუსს“ ხალხი შემოესვია, რადგან ისეთი გაკრიალებული და იმოდენა ავტობუსის გამოჩენა ხარაგოულში დიდად მოულოდნელი იყო.


როგორც კი მიწაზე ფეხი ჩამოეგდა, პროტასოვი იქვე მდგარ ასოვან, თეთრწვერა მოხუცს მიუახლოვდა.

— სალამი მბალ! როგორ ბრძანდებით, სომ კარგად? — ჰკითხა ოსურად.


— იმე, რავე სუყველგან რუსულად მელაპარაკება ეს ხალხი?! — შეიცხადა ტიმოთე ბაბუამ, რომელიც შუათანა ქალიშვილის ოჯახში ჩამოსულიყო ზესტაფონიდან.

სულ რამდენიმე წუთს გასტანა გაუგებრობამ. გულიანად იცინეს და ისთხითეს. შემდეგ კი სტუმრებს ისეთი სუფრა გაუშალეს (ეს მაინც ვერ მოიშალეს), ჭეშმარიტ მეგობრებს რომ ეკადრებოდათ, მაგრამ რა ირწმუნა და რა არა ამდენი ხუმრობაშეფერილი სიმართლიდან პროფესორმა, ჯერჯერობით ძნელი დასადგენია!..

ბიზო ზარნაძე



252
29.11



მედიცინის საოცრება

ვიმარსა ხელი მოიტება. მივიდა საავადმყოფოში და თაბაშირში ჩაუსვეს. პირველი შესაძლებლობისთანავე ჰკითხა თავის მკურნალ ექიმს:

- მითხარით, ბატონო ექიმო, ჩემი ხელი დაზიანებული დარჩება?
- ნუ სწუხართ! ჩვენ ისე გიმკურნალებთ, რომ ფორტეპიანოსაც კი დაუკრავთ! — უპასუხა ექიმმა. ვიმერს სახე გაუბრწყინდა.
- ოო, დიდებულია, ბატონო ექიმო! აქამდე საერთოდ არ შემეძლო დაკრა!

მკურნალობის ახალი მეთოდი

- მე ვიცნობ ერთ ექიმს, რომელმაც შოკით მკურნალობის ახალი მეთოდი გამოიგონა.
- საინტერესოა, რაში მდგომარეობს ეს მეთოდი?
- ანგარიშს წინასწარ უგზავნის პაციენტებს!



კონცერტში

- ბატბრად ფრიცს პირველად დართეს მამის კონცერტზე დასწრების ნება. იგი შორიგეობით აკვირდებოდა მომღერლებსა და დირიჟორს, შემდეგ იკითხა:
- მამი, რატომ ემუქრება კაცი ქალიშვილს მუდამ ჯოხით? მამა უხსნის შვილს, რომ კაცი კი არ ემუქრება, არამედ დირიჟორობს.
- კი მაგრამ, მამინ რატომ ყვირის ქალიშვილი ასე ხმამაღლა?

ასეც ხდება...

- რა ახალგაზრდობა მოდის!.. — ყვიროდა ვინკლერი ტრამვაიაში, — არავითარი თავაზიანობა, არავითარი დისციპლინა, არავითარი ზრდილობა!..
- კი მაგრამ, რაღა გნებავთ? — ჰკითხა მას იქვე მდგომმა კაცმა. — ერთმა ახალგაზრდამ ხომ მაშინვე დაგიტოვოთ ადგილი?!
- მაგრამ ჩემი ცოლი რომ ჯერ ისევ დგას?!

მოულოდნელი

- მითხარით, ქალიშვილო, გაჰყვებოდით ცოლად სულელს მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი ფული აქვს?
- ჯერ ხომ უნდა მოვიფიქრო? თქვენს წინადადება ჩემთვის მოულოდნელია!..

შეპიტება

მორცხვი მაქსი გოგონას მისდევდა. შეჩერდებოდა გოგონა, მაქსიცი შეჩერდებოდა; წავიდოდა იგი, მაქსიცი წავიდოდა. „თამაში“ ორ საათს გაგრძელდა. უცებ ქუჩის ერთ კუთხეში მოულოდნელად უთხრა გოგონამ მაქსს: — უპაცრავად, თქვენ ალბათ ელოდებით, რომ მე გამოგელაპარაკებით?


შედეგმა ცოდება არ არის.

ერთ დღე მღვდელთან ხანში შესული ქალი მივიდა და ჰკითხა: — დღეს დილით სარკეში ჩემს თავს ვაკვირდებოდი და დავასკვენი, რომ ძალიან ლამაზი ვარ. არის თუ არა ეს შეცოდება? — არავითარ შემთხვევაში, ქალბატონო! — შეეპასუხა მღვდელი. — ეს შეცოდება არ არის, მხოლოდ შეცდომაა!



ახალგაზრდობის სურვილი

ერთ მოხუც კაცს ჰკითხეს, აუსრულდა თუ არა მას ახალგაზრდობის სურვილი. — ოო!.. დიახ! — უპასუხა მან და ხელი მელოტ თავზე გადაისვა. — ყოველთვის, როდესაც დედაჩემი მვარცხნიდა, ვნატრობდი, რომ არც ერთი დერი თმა არ მქონოდა!




ის არ არის ერთ-ერთი იმთბანი

- რამდენი წლისა ხართ, ანა? — ჰკითხეს ერთ გოგოს.
- თვრამეტის.
- რვა წლის წინათაც ზუსტად ამას ამბობდით!
- რა თქმა უნდა!.. თქვენ გინდათ დღეს ერთს ვამბობდე და ხვალ მეორეს?

სისხლის მიმოქცევა

- როდესაც ყირას ვჭიმავ ხოლმე, მთელი სისხლი თავში მიდის!..
- რა თქმა უნდა, ბატონო მაიერ!
- რატომ არ მიდის მთელი სისხლი ფეხებში, როცა ფეხზე ვდგავარ?
- იმიტომ, რომ ფეხებში სიცარიელე არაა, ბატონო მაიერ!



უპანახველი სურვილი

- ბატონო ნოტარიუსო, დაუმატეთ ჩემს ანდერძს კიდევ ერთი პუნქტიც: ორკესტრმა დაუკრას ჩემს საფლავთან!..
- აუცილებლად! რის მოსმენას ისურვებთ?

ღია სარკმელთან

- ეს ხომ აღმაშფოთებელია! შეხედეთ, საღაროს სარკმელი ღიაა და მოლარეს კი სძინავს!
- იქნებ ექიმმა ურჩია გაღებულ სარკმელთან ძილი?

ბრატბიცივი

ამაღლია აღშფოთებული იყო: — აქ გაზეთში წერენ, რომ აღმოსავლეთში შეუძლებელია ქალის გაცვლა ცხენში! შენ ხომ ამას არ გააკეთებდი, ოტო? — გამორიცხულია, ამალია! — უპასუხებს ქმარი აღშფოთებით, — დიდი-დიდი, შეიძლებოდა მანქანაში გამეცვალე!



ნახ. ბ. შორაძისა



საბჭოთავი და იუგოსლავიის
შურნალი „ნინაზი“ №8
(1762). აპრილი. გამომდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლოვა, ნოდარ შა-
ლაშონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამ-
სონია, ზეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-
ფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გალეცა ასაწყობად
21.03. 88 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 16.04.
88 წ. ქალაქის ზომა
60x90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სად-
რიცხო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს კ-
ცის გამომცემლობა,
ლენინის 14, შეკვ. 723
უე 04742 ტირაჟი 140000
ქურნალი გამომდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 49.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-38,
მდივან-მემაწიანის —
99-76-69.

სატირხო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კპ.
ინდექსი 76137

